

# წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემოს მიმოხილვა

2024 წლის 25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე პერიოდი



დოკუმენტი მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ

[www.tdi.ge](http://www.tdi.ge)



## შინაარსი

შესავალი.....	2
მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წარუმატებელი მცდელობა.....	2
ქართული ოცნების ხელისუფლების განცხადებები მართლმადიდებელ ეკლესიასთან და საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით .....	4
საპატრიარქოს პოზიცია მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით.....	5
ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების განცხადებები მართლმადიდებელ ეკლესიასთან და საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით .....	7
ეკლესიის თემით სპეკულირება ხელისუფლების ანტიდასავლურ გზავნილებში .....	8
მართლმადიდებელი ეკლესია და სასულიერო პირები მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში.....	12
მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების პროპაგანდისტული განცხადებები.....	15
დასკვნა.....	17

## შესავალი

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აკვირდება წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოს, რაც მოიცავს პოლიტიკური სუბიექტებისა და საჯარო პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 25 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს. საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარდება. ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი კი არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე – 27 აგვისტოს დაიწყო.

აღნიშულ პერიოდში ხელისუფლებას ჰქონდა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის შეზღუდვის მცდელობა. ამ საკითხზე ხელისუფლება მოლაპარაკებებს აწარმოებდა მართლმადიდებელ ეკლესიასთან და ამ თემას იყენებდა პოპულისტურ-პროპაგანდისტული მიზნებისთვის. 2024 წლის 17 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო [„ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“](#) კანონპროექტთა პაკეტი. დისკრიმინაციული და ჰომოფობიური კანონმდებლობა [ზღუდავს](#) თავისუფალი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, მათ შორის ინფორმაციაზე წვდომისა და მედიის თავისუფლებას, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის უფლებასა და შრომის თავისუფლებას.

საქართველოს ხელისუფლების, მმართველი პოლიტიკური პარტიისა და მათ მიერ კონტროლირებული პროპაგანდისტული მედიის ანტიდასავლური გზავნილები ეფუძნება ეკლესიის სახელით სპეკულაციას, ჰომოფობიურ და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო რიტორიკას.

## მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების

### წარუმატებელი მცდელობა

2024 წლის 20 აგვისტოს, “ქართული ოცნების” პოლიტიკურმა საბჭომ [განცხადება](#) გაავრცელა, სადაც წარმოადგინა 4 სტრატეგიული ამოცანა, რომლის შესასრულებლადაც ესაჭიროებათ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება. ამ მიზნების მისაღწევად კი ამომრჩეველთა მაღალი მხარდაჭერა ითხოვა. განცხადებაში მე-4 ამოცანა დასახელებული არ იყო, თუმცა აღინიშნა, რომ ამ საკითხის “კონსტიტუციით მოწესრიგებასაც საქართველოს თვითმყოფადობისა და ეროვნული ფასეულობების დასაცავად უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.”

25 აგვისტოს ამბროლაურში გამართულ “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო ღონისძიებაზე, პარტიის “საპატიო თავმჯდომარემ,” ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ „არის კიდევ ერთი, ჩვენი ქვეყნისა და სარწმუნოებისთვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი საკითხი...”.

26 აგვისტოს მედიაში გავრცელდა [ინფორმაცია](#), რომ “ქართულ ოცნებას” სურდა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებინა, რის შესახებაც საპატრიარქოში შეხვედრები მიმდინარეობდა. ამ საკითხზე დისკუსიების არსებობა მომდევნო დღეებში დაადასტურა მაღალი იერარქიის არაერთმა სასულიერო პირმა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა.

29 აგვისტოს საპატრიარქოში გაიმართა [შეხვედრა](#), რომელსაც მხოლოდ ეპისკოპოსები ესწრებოდნენ. ამავდროულად, არაერთმა ეპისკოპოსმა გააკეთა განცხადება, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას.

30 აგვისტოს საპატრიარქოს წარმომადგენლებსა და ხელისუფლებას შორის საბოლოო შეხვედრა შედგა, რის შემდეგაც ნაცვლად მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა, შეთანხმების განსხვავებული პირობები გავრცელდა. პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძის [განცხადებით](#), სახელმწიფო და ეკლესია შეთანხმდნენ, რომ კონსტიტუციაში გაჩნდება ჩანაწერი, რომ “მართლმადიდებლობა სახელმწიფოს საყრდენია”. მისი ინფორმაციით ამ შეხვედრას ესწრებოდა პრემიერმინისტრი ირაკლი კობახიძე, საპატრიარქოს მხრიდან კი თავად ზვიადაძე, პატრიარქის თანამოსაყდრე შიო მუჯირი, მთავარეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე, პატრიარქის მდივანი მიქაელ ბოტკოველი და საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ანდრია ჯალმაიძე.

31 აგვისტოს, ბიძინა ივანიშვილმა [ოზურგეთში წინასაარჩევნო ღონისძიებისას](#) ისაუბრა დაპირებულ მე-4 საკითხზე, მან განაცხადა, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებლობის, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის მისია მკაფიოდ აისახება. აგრეთვე ხაზი გაესმება მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობაში“. აღნიშნული ცვლილების მიზეზად კი მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური სტატუსის კიდევ უფრო გამყარება დაასახელა.

პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის 1 სექტემბრის [განცხადებით](#), ხელისუფლება და საპატრიარქო შეთანხმდნენ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის პირველ პუნქტად დაიწეროს “„მართლმადიდებლური ქრისტიანობა საქართველოს სახელმწიფოს იდენტობის საყრდენია.“ ხოლო, მეორე პუნქტში “საქართველოს ისტორიას, რომ დაემატოს თანამედროვეობა, რაზეც საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან პრინციპული თანხმობაა“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობას ეხება, რომელიც უკვე აღიარებს “საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან”. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილმა და მის მიერ მართულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლეს საკუთარი წინასაარჩევნო პოპულისტური მცდელობის, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების იდეისთვის, ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვება.

## ქართული ოცნების ხელისუფლების განცხადებები მართლმადიდებელ ეკლესიასთან და საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით

ამ საკითხთან დაკავშირებით მმართველი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა არაერთი განცხადება გააკეთეს. ისინი პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ეკლესიის საკითხი მათი წინასაარჩევნო დაპირების ნაწილია და რომ სწორედ იმიტომ სჭირდებათ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება, რომ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ.

**ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნების საპატიო თავჯდომარე, 31 აგვისტო, წინასაარჩევნო ღონისძიება ოზურგეთში (გურია):** *“იმისათვის, რომ მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური სტატუსი კიდევ უფრო გამყარდეს და კონსტიტუციურმა ჩანაწერმა არსებული სინამდვილე უფრო ზუსტად ასახოს, საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებლობის, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის მისია მკაფიოდ აისახება. აგრეთვე ხაზი გაესმება მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობაში... მადლობა გვინდა გადავუხადოთ ეკლესიას, უწმინდესსა და უნეტარესს, მღვდელმთავრებს ჩვენი ინიციატივის მხარდაჭერისთვის, ისევე, როგორც, საზოგადოდ, იმ წვლილისთვის, რომელიც მათ საქართველოს თვითმყოფადობის დაცვასა და შენარჩუნებაში შეაქვთ.”*

**ბიძინა ივანიშვილი, 8 სექტემბერი, წინასაარჩევნო ღონისძიება ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი):** *“გარდა ამისა, გამარჯვებისთანავე გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის, მისი გაძლიერების და დაცვის მიზნით. ჩვენ ავსახავთ კონსტიტუციაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლს სწორედ იმ ფორმით, როგორც ის იმსახურებს. მართლმადიდებლური ქრისტიანობა კონსტიტუციით განმტკიცდება როგორც საქართველოს სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენი!”*

**ბიძინა ივანიშვილი, 14 სექტემბერი, წინასაარჩევნო ღონისძიება გორში (შიდა ქართლი):** *„საქართველო და მართლმადიდებლობა ერთმანეთისგან განუყოფელი ცნებებია. ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე სამშობლოსა და სარწმუნოების დასაცავად დაღვრილი სისხლით წერდნენ ისტორიას, მომავალ თაობებს უნარჩუნებდნენ იმ ქრისტიანულ ღირებულებებს, რომლებმაც საქართველოს ევროპული იდენტობა შემოუნახა. ქრისტიანული სარწმუნოება, მამულთან და ენასთან ერთად, ქართული იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია, რომელიც განსაკუთრებულ მოფრთხილებასა და დაცვას საჭიროებს.“*

**ბიძინა ივანიშვილი, 19 სექტემბერი, წინასაარჩევნო ღონისძიება რუსთავში (ქვემო ქართლი):** *“გარდა ამისა, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის, კონსტიტუციური სტატუსის განსამტკიცებლად.”*

**მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 3 სექტემბერი:** *“როდესაც არამხოლოდ წარსულში აღნიშნავს და აფასებს სახელმწიფო კონსტიტუციურად ეკლესიის*

როლს, არამედ, თანამედროვეობაშიც, ესეც განამტკიცებს ეკლესიის როლს და კონსტიტუციაში ამ ჩანაწერების გაკეთება ბუნებრივია, ერთი მხრივ იქნება საზოგადოების ლეგიტიმაცია, როდესაც ამას წინასწარ ვეტყვით ჩვენ და მაღალ შეფასებას, შესაბამისად, მაღალ მხარდაჭერას დაიმსახურებს „ქართული ოცნება“ ამ ინიციატივის გახმოვანებისათვის და მეორე მხრივ, მყარი გარანტია იმისა, რომ მარტივად თავდასხმებს ვეღარ გაბედავენ ეკლესიაზე. როდესაც სტატუსი კიდევ უფრო მაღალი იქნება რელიგიის, ეკლესიის - ბუნებრივია, სიმყარე მეტი იქნება ამ მიმართულებისა.” **მდინარამემ ამ საკითხზე 4 და 11 სექტემბერსაც ისაუბრა:** "...დიახ, ეს გადაწყვეტილება უკავშირდება არჩევნებს, იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა საზოგადოების მაღალი ლეგიტიმაცია, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღოთ. [...] ეს არჩევნებთან არის დაკავშირებული, ისე ამბობენ, თითქოს ვმაღავდეთ. დიახ, არჩევნებთან არის დაკავშირებული, რადგან ხალხს ვეუბნებით, რომ მოგვეცით მაღალი ლეგიტიმაცია, რომ ეს გავაკეთოთ."

**გურამ მაჭარაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის და "ხალხის ძალის" წევრი, 30 აგვისტო:** „დიახ, ჩვენი ეკლესიის გაძლიერება და მისი დაცვა კონსტიტუციის დონეზე სწორედ ჩვენი წინასწარჩვენო დაპირებაა და ამას სწორედ ამომრჩევლის გულის მოსაგებად ვაკეთებთ. დიახ, ამომრჩეველს ვესაუბრებით და ვაძლევთ პირობას, რომ დავიცავთ და გავაძლიერებთ ჩვენს რწმენას. ამაში გასაკვირი არაფერია.“

**ირაკლი ზარქუა, ქართული ოცნების დეპუტატი, 2 სექტემბერი:** “დედა ეკლესიაზე უსამშობლოებისა და მათი პატრონების შემოტევა არაერთხელ ყოფილა, მათ შორის პატრიარქზე. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ქართული სახელმწიფო, ეკლესია, ერი და ბერი განუყოფელია. ... ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეკლესია დავიცვათ და გავაძლიეროთ.“

## საპატრიარქოს პოზიცია მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით

ხელისუფლების ინიციატივასთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების მიერ არაერთი კომენტარი გავრცელდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა საფრთხეებს და რისკებს შეიცავდა მათთვის ეკლესიის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წინააღმდეგი იყო სასულიერო პირების დიდი უმრავლესობა. მიზეზად ეკლესიის დამოუკიდებლობის წართმევა სახელდება.

სასულიერო პირები კომენტარისას აღნიშნავდნენ საქართველოს პატრიარქის ილია მეორის პოზიციას სახელმწიფო რელიგიასთან დაკავშირებით, რომელიც მას წარსულში ჰქონდა.

**ლონგინოზ სუარიშვილი, საპატრიარქოს პრესასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი, 26 აგვისტო:** "სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაზე ადრე წინააღმდეგი იყო პატრიარქი, ამიტომაც შემუშავდა ის კონსტიტუციური ხელშეკრულება და იქ როგორც განისაზღვრა ეკლესიის სტატუსი, დღემდე ამ აზრის არის ეკლესია.“

**გიორგი ზვიადაძე**, პროტოპრესვიტერი, 27 აგვისტო: „საქართველოს ეკლესიას აქვს იგივე პოზიცია, რაც ჰქონდა პატრიარქს ადრე. ... ამ ეტაპზე კონსტიტუციური შეთანხმების ცვლილებაზე საუბარი სწორი არ არის.“

**გრიგოლ ბერბიჭაშვილი**, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, 29 აგვისტო: „გითხარით, 2002 წელს, როდესაც მზადდებოდა კონსტიტუციური შეთანხმება სხვადასხვა ვერსიები და ვარიანტები იქნა შესწავლილი და არჩეული იქნა საუკეთესო. ამაზე მეტი რა გითხრათ?! მაშინ, რა უნდა ყოფილიყო პატრიარქის პოზიცია? - რაც ხელმოწერილი იქნა, ის იყო.“

მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ნაწილი მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის საფრთხედ აღიქვამდნენ.

**ნიკოლოზ ფაჩუაშვილი**, ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მიტროპოლიტი, 26 აგვისტო: „სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ ეკლესია არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან და შესაბამისად სახელმწიფო არ არის დამოუკიდებელი ეკლესიისგან. მაგალითად, ეკლესიის იერარქების და სასულიერო პირების დანიშვნა - ასეთ გადაწყვეტილებას ლეზლობს სახელმწიფო, უფრო სწორად ეკლესია სთავაზობს და სახელმწიფო ამტკიცებს.“

**ზენონ იარაჯული**, დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი, 28 აგვისტო: "საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება არსებითად გულისხმობს ეკლესიის ინსტიტუციურ დაქვემდებარებას სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. ... თუ გამიზნული განაცხადია, სხვა არაფერს მიეახლება გონება, თუ არა ეკლესიის ინსტიტუციური განადგურებისა და სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობიდან გადახვევის ვერაგულ და ამავდროულად მდარე ჩანაფიქრს, რაც მხოლოდ საქართველოსა და მისი ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეც-სამსახურების პროექტს შეიძლება წარმოადგენდეს. ან კიდევ სამომავლო დიქტატურისა თუ ავტორიტარიზმის მომასწავებელ უბედურებას."

**სპირიდონ აბულაძე**, სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი, 1 სექტემბერი: "აი წარმოიდგინეთ ეხლა, მას [ეკლესიის მმართველს] ნიშნავს მთავრობა ფაქტიურად ესე გამოდის, მის გარეშე ამას ვერ დაადგენენ. ამიტომ მთავრობა რა თქმა უნდა ისეთს შეარჩევს რომელიც თვითონ უნდა და აქედან გამომდინარე იმისდა მიხედვით როგორია მთავრობის განწყობა, როგორია მთავრობის ხელმძღვანელის განწყობა იმისდა მიხედვით შეარჩევენ ისინი ეპისკოპოსებს, .....და ეს ძალიან მძიმე ცოდვაა, საშინელი ცოდვაა ესა."

**დავით მახარაძე**, ალავერდის ეპარქიის მიტროპოლიტი, 1 სექტემბერი: "შემოთავაზება კათოლიკოს-პატრიარქისა და სინოდის ყველა წევრის მიერ არ იქნა მიღებული, რადგან ჩვენ უფრო უკეთესი და მაღალი თანამშრომლობის და შეთანხმების ფორმა გვაქვს, რაც არის კონსტიტუციური შეთანხმება. აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება არცერთი მხარისთვის - არც ეკლესიისთვის და არც სახელმწიფოსთვის არ იქნება სასარგებლო. ეს ორივე მხარემ კარგად გავიაზრეთ, გავანალიზეთ, დავინახეთ და ამის შემდეგ, როდესაც კონსტიტუციაში ცვლილება იქნება

*შესატანი ამაზე ალბათ უფრო ინტენსიური და ხშირი შეხვედრები შედგება და რა ფორმასაც მიიღებს ჩასწორებული ვერსია, მას გავეცნობით და ამის შემდეგ ჩაიწერება და გამოცხადდება ყველას გასაგონად.“*

## **ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების განცხადებები მართლმადიდებელ ეკლესიასთან და საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით**

მმართველი პარტიის შეთავაზებას მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით გამოეხმაურნენ ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც. ნაწილი მათგანი აღნიშნულ შეთავაზებას ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნოდ მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენებად მიიჩნევდა, ნაწილი კი ეკლესიის მართვისა და დამოუკიდებლობის წართმევის მცდელობად. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ნაწილი კი ჩაერთო ეკლესიის საკითხზე პოპულისტურ მსჯელობაში და მხარდაჭერა გამოუცხადა ეკლესიის ისტორიული როლის უფრო მეტად ხაზგასმას კონსტიტუციაში.

1 სექტემბერს პოლიტიკური პარტია ლელოს თავჯდომარემ და კოალიცია ძლიერი საქართველოს ლიდერმა, მამუკა ხაზარაძემ განცხადება გაავრცელა, რითაც ერთის მხრივ შეთავაზებას „წინასაარჩევნო ტრიუკი“ უწოდა, ხოლო მეორეს მხრივ მხარი დაუჭირა ინიციატივას.

**მამუკა ხაზარაძე, პარტია ლელოს თავჯდომარე, 1 სექტემბერი:** *„ჩვენ ვემხრობით კონსტიტუციის დონეზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის მკაფიოდ დაფიქსირებას ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში და მიგვაჩნია, რომ ამაზე მთელი პოლიტიკური სპექტრი უნდა თანხმდებოდეს. ამიტომ, საკონსტიტუციო ცვლილებაზე კენჭისყრა გაიმართოს საპარლამენტო არჩევნებამდე. ეს ეკლესიას დაიცავს "ქართული ოცნების" მიერ წინასაარჩევნო პროპაგანდაში ჩათრევის მცდელობისგან და საკონსტიტუციო დონეზე კიდევ ერთხელ გაამყარებს მის სტატუსს.“*

**ზადრი ჯაფარიძე, პარტია ლელოს ლიდერი, 2 სექტემბერი:** *„ქართულ ოცნებას“ ხრიკი ჩაუვარდა, მან მართლმადიდებელი ეკლესიისგან ძალიან მკაფიო პასუხი მიიღო - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას ჩვენ ცალსახად დავუჭერთ მხარს.“*

**გრიგოლ გეგელია, პარტია ლელოს წევრი, 2 სექტემბერი:** *„ქართული ოცნება“ დღეს ცდილობს მიიტაცოს სენსიტიური და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემა საკუთარი პოლიტიკური დივიდენდისთვის. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ მზად ვართ ახლავე, აქ და ახლა, განვიხილოთ და მივიღოთ შესაბამისი ცვლილება, თუკი ეკლესია იქნება ამით დაინტერესებული.“*

აღნიშნულ თემას გამოეხმაურნენ ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი და პარტიის თავჯდომარე თინათინ ბოკუჩავა.

**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, 29 აგვისტო:** *„ივანიშვილი, როცა ჩემთან მრავალგზის ლანძღავდა პატრიარქს, ყოველთვის იშველიებდა მის მიერ დიდი ალბათობით გამოგონილ ფაქტს,*



სამების ჯვრის ორჯერ ყიდვის თაობაზე. მას ჰქონდა მთავარი პრეტენზია იმაზე, რომ საპატრიარქო მას (ივანიშვილს), ჰპარავდა ფულს. რა დაპირებაც არ უნდა გასცეს ახლა "სახელმწიფო რელიგიის" სტატუსის შემოღება სჭირდება და თუ დასცალდა გამოიყენებს ფულის არამხოლოდ საკონტროლებლად, არამედ ფულის მეშვეობით სამართავად. "

**თინათინ ბოკუჩავა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავჯდომარე, 2 სექტემბერი:** "საქართველოს საპატრიარქო ყოველთვის საქართველოს მოქალაქეების, მართლმადიდებელი ეკლესიის, რწმენის სადარაჯოზე იქნება და უარს იტყვის ყოველგვარ წინასაარჩევნო, პროპაგანდისტულ, ბინძურ გარიგებებზე ხელისუფლებასთან, რომლის ლიდერი, თავად კერპთაყვანისმცემლობისკენ მიდრეკილი, მორიგ ჯერზე ცდილობს, რომ ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე სათუთი და ძვირფასი რამ, ჩვენი რწმენა ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოიყენოს."

**კახაბერ ოქრიაშვილი, პარლამენტის წევრი ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, 2 სექტემბერი:** „ხვალ, 3 სექტემბერს, პარლამენტში საშემოდგომო სესია იხსნება და რატომ უნდა გადავდოთ ეს კარგი საქმე - მთელი ოპოზიცია მზადაა, სექტემბერშივე უყაროს კენჭი ამ პოსტულატს და არჩევნებამდე შევიტანოთ ჩანაწერი კონსტიტუციაში. "ქოცებო", ეს ტრიუკები აღარ გაგივათ. ვადა გაუვიდა თქვენს პოლიტიკურ აფერისტობას - ჩათვალეთ, უკვე ოპოზიციაში ხართ!."

პოლიტიკური პარტია "ახალის" თანათავმჯდომარემ და კოალიცია ცვლილებებისთვის ლიდერმა, ნიკა გვარამიამ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ფეისბუქ პოსტში ყურადღება გაამახვილა 2021 წელს გავრცელებულ სახელმწიფოს მიერ უკანონო მოსმენისა და მიყურადების ფაქტზე.

**ნიკა გვარამია, 3 სექტემბერი:** "მე, მაგალითად, მხარს დავუჭერ კონსტიტუციურ ცვლილებას, რომ ხელისუფლება არ უსმენდეს, უთვალთვალებდეს და ვიდეოზე არ წერდეს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს, რაც მერე სუსის კრებსებში აისახება და საზოგადოების სამსჯავროზე გამოდის. ასევე, მოსასმენებს არ აყენებდეს აღსარების ადგილას ან პირადი ცხოვრების შანტაჟის სანაცვლოდ, თავად მღვდლებს არ აწერინებდეს აღსარებებს სუსისთვის გადასაცემად, რაც ასევე კრებსების სახით ხდება საზოგადოებისთვის ცნობილი."

## **ეკლესიის თემით სპეკულირება ხელისუფლების ანტიდასავლურ გზავნილებში**

წინასაარჩევნო პერიოდში, ქართული ოცნების ლიდერები ანტიდასავლური პროპაგანდისტული გზავნილებისთვის აქტიურად იყენებენ მართლმადიდებლობასა და ეკლესიის სახელს. ისინი ეკლესიისა და "სარწმუნოების დაცვის" სახელით უფლებადამცველებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ოპონენტებს და დასავლელ პარტნიორებს წარმოაჩენენ როგორც დასავლურ "აგენტურას," "ეკლესიასთან მეზრძოლებს", "ეკლესიის მაგინებლებს" "ანტიეროვნულ, ანტიეკლესიურ, რადიკალ დაჯგუფებებს" და "მტრულად განწყობილ ძალებს".

**მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 25 აგვისტო:** “არც ერთი ის ადამიანი, რომელსაც თავისი სამშობლო, თავისი მამული, თავისი რწმენა, ენა, უპირველესად მიაჩნია, სახლში არ დარჩეს იმიტომ, რომ ერთმა ხმამ შეიძლება გადაწყვიტოს საკონსტიტუციო უმრავლესობის ბედი.”

**გურამ მაჭარაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის და “ხალხის ძალის” წევრი, 30 აგვისტო:** „საქართველოსადმი მტრულად განწყობილმა ძალებმა კარგად იციან, რომ ეკლესიას აქვს უდიდესი როლი და გავლენა საზოგადოებაზე, რაც მათ ძალიან აღიზიანებთ და გამუდმებით ცდილობენ დედა ეკლესიის დისკრედიტაციას. ჩვენი მიზანი კი კონსტიტუციაში სწორედ ამ ეკლესიის როლისა და გავლენის შესაბამისობაში მოყვანაა. მარტივი ჭეშმარიტებაა - ეკლესიის გაძლიერება მხოლოდ იმ ძალებს არ აწყობთ, რომელიც ებრძვის ჩვენს რწმენას და ყველაფერს ქართულს!“

**არჩილ თალაკვაძე, ქართული ოცნების დეპუტატი, 2 სექტემბერი:** „ბოლო წლების განმავლობაში უპრეცედენტო ზეწოლა და თავდასხმებია მართლმადიდებელ ეკლესიაზე. რასაკვირველია, მიზანი შემთხვევითი არ არის.“

**ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნების საპატიო თავჯდომარე, 8 სექტემბერი:** “26 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობას, სამწუხაროდ, არ უწევს არჩევანი კარგსა და უკეთეს შორის; უსამშობლო, რადიკალური ოპოზიციის დამსახურებით, 26 ოქტომბერს არჩევანს ვაკეთებთ ომსა და მშვიდობას, ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებსა და ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს შორის, არჩევანს ვაკეთებთ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ.“

**ირაკლი კობახიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, 8 სექტემბერი:** "26 ოქტომბერს არ ტარდება უბრალო არჩევნები. ეს არის გადამწყვეტი რეფერენდუმი, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება უსამშობლობა და ქვეყნის სიყვარული, მებრძოლი ათეიზმი და ეკლესიის პატივისცემა, მონობა და სუვერენიტეტი და ამ რეფერენდუმში აუცილებლად ქვეყნის სიყვარული, ეკლესიის პატივისცემა და საქართველოს დამოუკიდებლობა გაიმარჯვებს.“

**შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე, 9 სექტემბერი:** "დღეს, როდესაც პირდაპირ, დაუფარავად, ურცხვად ებრძვიან ჩვენს სარწმუნოებას..." კარგად ხედავთ, როგორი კამპანია აქვთ გაჩაღებული შობის დღესასწაულის თარიღთან დაკავშირებით, როგორ ებრძვიან ხატებს, როგორ ცდილობენ ჩვენი დედაეკლესიის დაზიანებასა და სახელის გატეხას."

**კახა კალაძე, თბილისის მერი, 9 სექტემბერი:** „კანონი [უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ] ითხოვს ერთ რამეს - ფული საიდანაც შემოდის, იყოს ცნობილი საზოგადოებისთვის, დაარეგისტრირონ ეს ყველაფერი, თუ საიდან მიიღეს აღნიშნული თანხა და რა კონკრეტულ პროექტებში იხარჯება. მესმის, რომ მავანს ამის გასაჯაროების სურვილი არ აქვს იმიტომ, რომ ყველაფერი ცხადი გახდება - ვინ ებრძვის ქართულ სახელმწიფოებრიობას, ჩვენს კულტურას, ტრადიციებს, ეკლესიას, სარწმუნოებას. ეს ყველაფერი გამოაშკარავდება.“

ამიტომ ურჩევნიათ, ასე მალულად, შავად ახორციელონ დაფინანსებები რეკოლუციის, ექსტრემისტული ორგანიზაციების, საზოგადოების გახლეჩის, დაპირისპირებისთვის.“

**ირაკლი კობახიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, 14 სექტემბერი:** “შიდა ქართლი ინახავს ჩვენი ქვეყნის უძვირფასეს მემკვიდრეობას, უამრავ ეკლესია-მონასტერს, რომლებიც შეგვახსენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, გავუფრთხილდეთ ჩვენი ეროვნული იდენტობის თითოეულ საყრდენს - მამულს, ენას და სარწმუნოებას.”[...]სადაც ერთ მუშტად იყო შეკრული ერი და ბერი, სადაც ქართველი ხალხი ერთად იდგა საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის - მამულის, ენისა და სარწმუნოების დასაცავად, საქართველოს დამარცხება ვერავინ შეძლო. საქართველოს ვერც 26 ოქტომბერს ვერავინ დაამარცხებს.”

**მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 11 სექტემბერი:** „იდენტობის შენარჩუნების საქმეში ეკლესიის როლი არის გადამწყვეტი და რატომ ხდება, რომ აგენტურა მუდმივად ებრძვის, ეკლესია არის მათი დარტყმის მთავარი ობიექტი ყოველთვის. კარგი და ცუდი ყველგან არის, ერშიც და ბერშიც მათ შორის, ეს უნდა ვალიაოთ, თუკი სადმე რაიმე გადაცდომა შეიძლება ჰქონდეს ვიღაცას გამოეკიდებიან ბოლომდე და საპირისპიროდ ერთ კარგ სიუჟეტს არ გააკეთებენ ხოლმე. მაგრამ 99%-ს აბრალებენ ისეთ საშინელებებს და ილაშქრებენ მათ წინააღმდეგ, რატომ? იმიტომ, რომ სახელმწიფოებრიობის, ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი მთავარი საყრდენი არის ეკლესია.“

**ვლადიმერ ბოჭაძე, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" გლდანის დელეგატი, 13 სექტემბერი:** დიახ, თქვენ, ამომრჩევლებმა, უნდა გადაწყვიტოთ ჩვენი ქვეყნის ბედი. ჩვენი ქვეყნის ბედი გადაწყდება საქართველოში, ისევე როგორც ეს ხდება 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ და არ გადაწყდება ქვეყნის გარეთ, როგორი „დანოსებიც“ არ უნდა წერონ, როგორ მოსმენებზეც არ უნდა წავიდნენ ქვეყნის გარეთ, დააბეზლონ საკუთარი ქვეყანა, დედაეკლესია, ხალხი. მე დარწმუნებული ვარ, საქართველო კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს და გააგრძელებს გზას ევროპისკენ, ოღონდ გააგრძელებს მშვიდობით, კეთილდღეობით და მხოლოდ ღირსებით.“

**მიხეილ ყაველაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის და “ხალხის ძალის” წევრი, 17 სექტემბერი:** „ერთ მხარეს დგას პატრიარქი, ერეკლე მეორე, ბიძინა ივანიშვილი, რობიკო სტურუა, ლაშა ტალახაძე, გენო პეტრიაშვილი, ახლა უკვე ჩვენი გუნდის წევრები, ლაშა ბექაური და ბევრი ადამიანის ჩამოთვლა შემიძლია, ვინც ამ ნაცხროვამ, ამ უსამშობლო და უჯიშო ადამიანებმა, ამ ლიბერალ-ფაშისტებმა არაერთხელ შეურაცხვეს, აგინეს, რა ვიცი, რა სიტყვებით არ მოიხსენიებდნენ.“

**ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნების საპატიო თავჯდომარე, 19 სექტემბერი:** „როგორც მოგეხსენებათ, საქართველო ისტორიულად ამაყობს, ერთი მხრივ, რელიგიური ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით და მეორე მხრივ, მართლმადიდებლობით, რომელიც, მამულთან და ენასთან ერთად, ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ არ წყდება თავდასხმები მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რისი მიზანიც სწორედ საქართველოს იდენტობის შერყევია.“

16 სექტემბერს საქართველოს გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკლ როთი ეწვია და შეხვედრა გამართა ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე შეხვდა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს. მმართველი პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენლებმა მასთან შეხვედრაზე უარი თქვეს. მთავარ მიზეზად კი დაასახელეს როთის 14 მაისს გაკეთებული [განცხადება](#) მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებით. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს საკითხი კიდევ ერთხელ გამოიყენეს ანტიდასავლური განცხადებების გასაჟღერებლად.

**შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, 16 სექტემბერი:** „როგორც ვხვდები, ის [მაიკლ როთი] ოპოზიციის მხარდასაჭერად არის ჩამოსული და ალბათ, მასთან შესახვედრად ოპოზიციის რიგი დადგება. ამ ადამიანმა შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ ხალხს, ამიტომ ჩვენი მხრიდან მასთან შეხვედრის არანაირი სურვილი არ არის. მან შეურაცხყოფა მიაყენა ქართველი ხალხის ეკლესიას, ქართველი ხალხის არჩეულ ხელისუფლებას და ქართულ დემოკრატიას იმით, რომ როგორც უცხოელი პოლიტიკოსი, ანტიდასავლურ დემონსტრაციაზე რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად დადგა.“

**კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 16 სექტემბერი:** "ადამიანი, რომელიც ძირითადად დაკავებულია შეურაცხმყოფელი განცხადებებით, ყოველ შემთხვევაში, თავი ამით დაგვამახსოვრა - ეკლესიის, სარწმუნოების და ზოგადად, ქვეყნის, მშვიდობის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს ვისმენთ მისგან. "

**გურამ მაჭარაშვილი, 3 სექტემბერი:** "26 ოქტომბერს არის უმნიშვნელოვანესი და ამავდროულად, მარტივი არჩევანი: პატრიარქის ქადაგება თუ მიხაელ როთის ლანძღვა ეკლესიის მიმართ. ქართველი მეფეების პატივისცემა თუ მეფეების მლანძღავი ლევან ბერძენიშვილის ბჟუტური. საშობაო ალილოზე მსვლელობა თუ გეი აღლუმების ჩატარება."

ამავე თემაზე განცხადებები გააკეთეს ქართული ოცნების ლიდერებმა და სხვა დეპუტატებმა, [მამუკა მდინარაძემ](#), [ნინო წილოსანმა](#), [ნიკოლოზ სამხარაძემ](#), [გურამ მაჭარაშვილმა](#) და [ლევან მაჭავარიანმა](#).

ხელისუფლების ანტიდასავლურ გზავნილებს და ეკლესიის თემით მანიპულირებას აძლიერებს მის მიერ კონტრილირებული პროპაგანდისტული მედიაც. მაგალითად, 2 სექტემბერს [ტელეკომპანია "იმედის" საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა](#) ოპოზიცია ეკლესიის მტრებად, ხოლო მმართველი პარტია ეკლესიის დამცველად მოიხსენია. "ეკლესია, რომელიც წლებია საზოგადოების ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს, ასევე წლებია, რადიკალთა ყველაზე მწვავე და აგრესიულ იერიშებს იგერიებს. თავდასხმის სამიზნეა პირადად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც. ეს წინაპირობები და ფაქტები „ქართულ ოცნებას“, კონსტიტუციური ჩანაწერის აუცილებლობას უჩვენებს, საკითხი საპატრიარქოსგან მხარდაჭერილია.“

## მართლმადიდებელი ეკლესია და სასულიერო პირები მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკლესიის თემებით პოპულისტური სპეკულირების პარალელურად, მმართველი პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად სტუმრობენ ეკლესია-მონასტრებს და ჩნდებიან მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან ერთად. წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ თანაპარტიელებთან ერთად არაერთი ეკლესია-მონასტერი მოინახულა.

**31 აგვისტოს** საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძე, სხვა თანამდებობის პირებთან ერთად, ტყიბულში ტყიბულქალაქობისა და მეშახტის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე იმყოფებოდა. აღნიშნულ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, მათ შორის ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი.



ფოტო: [ირაკლი კობახიძე / Irakli Kobakhidze](#) ფეისბუქ გვერდი

**6 სექტემბერს** ირაკლი კობახიძე ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) პირველ კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა. აღნიშნულ ცერემონიას გარდა ხელისუფლების და პარტიის წევრებისა, დაესწრო ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი.



ფოტო: [ირაკლი კობახიძე / Irakli Kobakhidze](#) ფეისბუქ გვერდი

**8 სექტემბერს** ირაკლი კობახიძეს პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ შალვა ახალციხელის სახელობის ტაძარში უმასპინძლა. მთავრობის მეთაური ტაძარში პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, თბილისის მერ კახა კალაძესთან, მთავრობის წევრებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა. მიტროპოლიტმა თეოდორემ ხელისუფლების წარმომადგენლებს სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა და პრემიერ-მინისტრს საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა.



ფოტო: [საქართველოს მთავრობა](#)

**11 სექტემბერს** ირაკლი კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან ერთად, ძღვევიჯვარის წმინდა გიორგის დედათა მონასტერში იმყოფებოდა (ქარელის მუნიციპალიტეტი). მთავრობის მეთაურს, მინისტრთა კაბინეტის წევრებსა და ადგილობრივი ხელისუფლების

წარმომადგენლებს, მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა და დედათა მონასტრის წინამძღვარმა სქემ-მონაზონმა ვალერია სხილაძემ უმასპინძლეს.



ფოტო: საქართველოს მთავრობა

[15 სექტემბერს](#) ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, თბილისის მერ კახა კალაძესთან და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ მამუკა მდინარაძესთან ერთად, გორის აღდგომის სახელობის მშენებარე ტაძარში იმყოფებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლებს გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ უმასპინძლა. სასულიერო პირმა პრემიერს ტაძრის მშენებლობის პროცესზე ესაუბრა და ხაზი გაუსვა ბიძინა ივანიშვილის ფონდ "ქართუს" ფინანსური მხარდაჭერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მთავრობის მეთაურმა მეუფეს მშენებლობის პროცესში სახელმწიფოს თანადგომა აღუთქვა. მიტროპოლიტმა ანდრიამ ხელისუფლების წარმომადგენლებს საჩუქრად ხატები გადასცა.



ფოტო: საქართველოს მთავრობა

**18 სექტემბერს** “პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქანაძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გადაღებული დოკუმენტური ფილმის - „წმინდა გრიგოლ ხანძთელი“ პრეზენტაციას დაესწრო.”



გივი მიქანაძე  
ფოტო: საქართველოს  
პარლამენტი

## მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების პროპაგანდისტული განცხადებები

წინასაარჩევნო პერიოდში მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აკეთებდა როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და დასავლეთის საწინააღმდეგო განცხადებებს.

**სპირიდონ აბულაძე, სხალთის ეპისკოპოსი, 1 სექტემბერი:** “*მითუმეტეს ეხლა, ჩვენ საქართველოში, როგორი, აი მთელი 15 პარტიაა რომელმაც საშინელი ლეგეტივები მემორანდუმები დადეს და იმახიან რომ ჩვენ იდეოლოგიას მხარდამჭერი ვართო. კი ბატონო დღეს არი მთავრობა ბატონი ბიძინა და მისი გუნდი რომელიც კატეგორიულად ებრძვის ამ უკუღმართობას ამ გათახსირებას და საშინელებას მოგეხსნებათ თქვენ ხომ პირდაპირ არც მალავს და ასე შეიძლება ითქვას არი რო იტყვიან დუელში გამოიწვია ის ქვეყნები და ისინი რომლებიც ამ უკუღმართობას ქადაგებენ ხო ამ უკუღმართობას ამკვიდრებენ, მაგრამ იქნები კი ყოველთვის ესეთი ხელისუფლება ვინც იცის ეს , რა იქნება 10 წლის შემდეგ, რა იქნება 20 წლის შემდეგ, რა იქნება 30 წლის შემდეგ, რა იქნება 50 წლის შემდეგ ვინ იცის ეს. [...] მაღლობა ღმერთს რომ ხელისუფლება დიალოგის რეჟიმშია ჩვენთან ერთად, ეკლესიასთან ერთად, ღმერთმა დალოცოს ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ჩვენი მთავრობა. [...] არი ხელისუფლებები მაგალითად, ავიღოთ ახლა წარმოდგინეთ ეხლა ამერიკაში ხელისუფლება და ევროკავშირის ქვეყნებში. ხელისუფლება არი პირდაპირ საშინელი ლეგეტივები ხელისუფლება. ისინი პირდაპირ აცხადებენ რომ ჩვენი მთავარი იდეოლოგია არის*



ლეგეტიბე და ა.შ და ჩვენ უნდა, ვინც არ დაგვემორჩილება ჩვენ, არ ექნებათ ლეგეტიბე იდეოლოგია, რაც არი ჯანდაბა და ორლობე, ჩვენ მათ შევუტევთ და გავანადგურებთ.“ და ნუ იცით მაგათი პრეზიდენტების გამოსვლები, როგორი ზეწოლა აქვთ მთელს მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს ხელისუფლებას და ქართველ ერს.”

**ანდრია ჯალმაიძე, საქართველოს საპატრიარქოს პრესსპიკერი, 2 სექტემბერი:** „ჩვენ ბოლო პერიოდში ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ფასეულობათა ცვლის ძალიან დიდი დინამიკა გვაქვს და ეკლესიას უხდება ხელჩართული ბრძოლა იმისათვის, რომ არ მოხდეს რადიკალური ჩანაცვლება ღირებულობების და ფასეულობების. [...] მხედველობაში მაქვს ეკლესიის წინააღმდეგ ცილისმწამებლური და მიზანმიმართული დისკრედიტაციული კამპანია, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობს და ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ლგბტ პროპაგანდის ინტენსიურ ხაზს ვხედავთ ეკლესიის ოპონენტების მხრიდან და განმსაზღვრელი აღმოჩნდა ეს ხაზი ეკლესიასა და ნაწილ არასამთავრობოებსა თუ პოლიტიკურ პარტიებს შორის. ალბათ, აი ეს გარემოებები გახდა მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფოს გადმოედგა ეს ნაბიჯი.“

**სტეფანე კალაიჯიშვილი, ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი, 2 სექტემბერი:** "დღეს ეს ვითარებაა საქართველოში რაღაცა ნაწილი არის სოცდომისტები და ათეისტები ერთად შეკრულები და ისინი ვთქვათ ცდილობენ რაღაცა ისა ფოჩებიანი კანფეტებით შეიტყუონ ჩვენი ბავშვები, თითქოსდა ეხლა ჩვენ ევროპაში ისე მიგვიღებენ თუ ესენი გადაატრიალებენ ამ ხელისუფლებას რომ ოქროს ზოდები დაგვხვდება ჩვენ," და რუსეთისგან მომდინარე საფრთხეზე „სინამდვილეში ძალიან დიდი პრობლემები გველის. პირველ რიგში ის იქნება რო რუსეთის საკითხი გააქტიურდება და შეიძლება მოხდეს აი ამ უფუნური მოქმედებებით 2008 წელი მონაგონი გახდება, ისეთი რაღაცეები მოხდეს."

უცხოეთის ქვეყნების არჩევნებში ჩარევაზე ისაუბრა **ბოდბის ეპისკოპოსმა იაკობ იაკობაშვილმა** 28 აგვისტოს ქადაგებისას.

„მომხრე ვარ, რომ ამერიკასა და ევროკავშირთან გვექონდეს უაღრესად მჭიდრო კავშირი. მაგრამ ბრიყვი არ ვარ, რომ ყველაფერს ისე დავეუჯერო, თითქოს ყველაფერი ისეა, რასაც გვეუბნებიან. დასრულდება არჩევნები და ღვთის შეწევნით ყველაფერი კარგად იქნება, რადგან ეს საქართველოა და ქართველები გადავწყვეტთ საქართველოს ბედს. უცხოეთი შეეცადოს, რომ ნაკლებად ჩაერიოს არჩევნებში. იტყვიან არ ვერევითო, მაგრამ ვისაც არ ეზარება ყველა ქვეყანა ერევა.“

**21 სექტემბერს ქადაგებისას, ეპისკოპოსმა იაკობმა,** კომენტარი გააკეთა მაიკლ როთის ვიზიტთან დაკავშირებით, რაც თანხვედრაში იყო ქართული ოცნების პოლიტიკოსთა ნარატივთან. „ეს დროც გასავლელი გვაქვს, როგორც მეგობრები ან დაშორდებიან ან რაიმე იქნება, არც ერთი ერის ვალი არ გვაქვს, თუ რამე იყო, კონტრიბუციით ხან ავღანეთში დავყავდით და დღეს, თურმე, შესაძლოა, ჩვენს ჯარს დახმარებაც შეუწყვიტონ. ჯარი მთავრობის ხომ არ არის?! ის ჩვენია. არავის ვემუქრებით, მაგრამ ვინც საქართველოს წინააღმდეგ წავა, ყველას მივხედავთ, ჭკვიანად უნდა იყვნენ!“ [...] „არ შემიშვებენ ევროპაში, არც მჭირდება[...]თვითონ იკითხონ, თუ ჩვენნაირი ადამიანები დაკარგეს.“

მართლმადიდებელი სასულიერო პირების უმრავლესობისგან განსხვავებით, **ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მიტროპოლიტმა, ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა** ყურადღება გაამახვილა ეკლესიის „გულის მოსაგებად“ მმართველის პარტიის წინასაარჩევნო დაპირებებზე.

*"ვინც არ უნდა დამლოს და შეფუთოს სხვანაირად, ორი აზრი არ არის, რომ ეს წინასაარჩევნო შემოთავაზებაა, წინასაარჩევნო პროგრამა."*

მიტროპოლიტის პოზიციას მწვავე კრიტიკა მოჰყვა "ქართული ოცნების" დეპუტატების მხრიდან. **ქართული ოცნების დეპუტატმა ალუდა ლუდუშაურმა** მას „აბსოლუტურად მცდარი და მიუღებელი“ უწოდა, ხალხის ძალის წარმომდგენელმა **გურამ მაჭავარიანმა** კი აღნიშნა, „ის, რაც მეუფე ნიკოლოზმა იკადრა, არ ჯდება არც ეკლესიურ, არც ადამიანურ და არც მორალურ ეთიკაში. გულდასაწყვეტია, რომ ეკლესიის როლის გაძლიერებას დასცინის მაღალი სასულიერო იერარქიის პირი, რომელიც პირიქით, ყველაფერს უნდა აკეთებდეს დედა ეკლესიის გასაძლიერებლად.“

## დასკვნა

წინასაარჩევნო კამპანიისას ხელისუფლების, მმართველი პარტიის, მართლმადიდებელი სასულიერო პირების, პროპაგანდისტული მედიისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების განცხადებების მონიტორინგი აჩვენებს, რომ ხელისუფლება და მმართველი პარტიის ლიდერები ანტიდასავლური პროპაგანდისტული გზავნილებისთვის აქტიურად იყენებენ მართლმადიდებლობასა და ეკლესიის სახელს. ისინი ეკლესიისა და "სარწმუნოების დაცვის" არგუმენტით უფლებადამცველებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ოპონენტებს და დასავლელ პარტნიორებს წარმოაჩენენ როგორც დასავლურ "აგენტურას," "ეკლესიასთან მებრძოლებს", "ეკლესიის მაგინებლებს" "ანტიეროვნულ, ანტიეკლესიურ, რადიკალ დაჯგუფებებს" და "მტრულად განწყობილ ძალებს". ეკლესიის სახელით სპეკულაციისა და პოპულიზმის ცხადი გამოვლინება იყო მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წარუმატებელი მცდელობა. ანტიდასავლურ, არადემოკრატიულ და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო ნარატივებში ისინი ხშირად ეყრდნობიან ჰომოფობიურ რიტორიკას. „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტთა პაკეტის მიღება ხელისუფლებამ ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან ერთად, სწორედ წინასაარჩევნო მიზნებისთვის გამოიყენა.

ხელისუფლების ანტიდასავლურ გზავნილებს და ეკლესიის თემით მანიპულირებას აძლიერებს მის მიერ კონტროლირებული პროპაგანდისტული მედიაც. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მმართველი პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად სტუმრობენ ეკლესია-მონასტრებს და საჯაროდ ჩნდებიან მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან ერთად.

თავის მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები ხშირად ღიად უჭერენ მხარს ხელისუფლებას, და ავრცელებენ სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და დასავლეთის საწინააღმდეგო განცხადებებს.